სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის

რიგგარეშე სხდომის ოქმი N5

16 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 16 დეკემბერს სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მის. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. N3) გაიმართა სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ დირექტორატის წევრები:

- **დავით ლორთქიფანიძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი
- **ნიკა ახალბედაშვილი** - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (შემდგომში - მუზეუმთა ჯგუფი) დირექტორი
- **ნინო ჭიპაშვილი** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი
- **ნინო სალუქვაძე** - ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი
- **ირაკლი ღვალაძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი
- **სოფიო მიქაძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი
- **მაკა სოხაძე** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის სპეციალისტი

განსახილველი საკითხები:

I. სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
   - 2022 წლის საშტატო ნუსხა;
   - სხვა მიმდინარე საკითხები.

II. მუზეუმთა ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
   - სხვა მიმდინარე საკითხები.

III. გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხა;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

IV. ქართული სპორტის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს:

I საკითხი - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის საშტატო ნუსხის განხილვა

ნ. ჭიპაშვილმა დირექტორატის წევრებს წარუდგინა გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხა, რომელიც 30 ერთეულიდან შემცირდა 18 ერთეულამდე, ხოლო სახელფასო ფონდი, რომელიც შეადგენდა ყოველთვიურად 21 400 ლარს, დარჩა უცვლელი. ნ. ჭიპაშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ გეგმავდა რეორგანიზაციას და შემცირებული შტატების ხარჯზე ხელფასების მომატებას.

ნ. სალუქვაძე დაინტერესდა, იქნებოდა თუ არა საკმარისი ეთნოგრაფიული მუზეუმის ფუნქციონირებისთვის 18 საშტატო ერთეული, რაზედაც ნ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე, 2022 წლისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა აღნიშნული რაოდენობა, რომელსაც, ასევე, დაემატებოდა 41 შტატგარეშედ დასაქმებული პირი და 2022 წლის 22 იანვრიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში ძალაში შევიდოდა ახალი საშტატო ნუსხა.

დირექტორატის წევრებმა თანხმობა განაცხადეს გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარმოდგენილ 2022 წლის საშტატო ნუსხის შეთანხმებაზე.

II საკითხი - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის საშტატო ნუსხის განხილვა

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლისთვის გაერთიანებაში იყო 449 შტატით დასაქმებული თანამშრომელი, ხოლო 2022 წლის ახალი საშტატო ნუსხის თანახმად, მცირდებოდა მხოლოდ 3 პოზიცია. მათ შორის, სწავლული მდივნის ფუნქციას შეითავსებდა გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე.

ნ. ახალბედაშვილმა ისაუბრა მუზეუმის თანამშრომელთა დაბალ ანაზღაურებაზე, რაც მისთვის, იყო ძალიან მტკივნეული თემა. მან მიმართა ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციას, რათა მათაც მიეზიდათ მუზეუმთა ჯგუფისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელებისთვის და გაეზარდათ თანამშრომელთა ხელფასები. ნ. ახალბედაშვილის აზრით, ვინაიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმი წარმოადგენდა ერთიან სტრუქტურას,

სწორი პოზიციონირება იქნებოდა, თუკი რამდენიმე მუზეუმში გაიზრდებოდა ხელფასები, გაზრდილიყო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშიც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნ. ჭიპაშვილმა დასძინა, რომ მას არ ჰქონდა ახალ საშტატო ნუსხაში დირექტორის მოადგილის შტატი გათვალისწინებული, მაშინ როდესაც მართავდა 49 ჰა ტერიტორიას. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რას საქმიანობდნენ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე დასაქმებული პირები. გარდა ამისა, ნ. ჭიპაშვილმა კითხვით მიმართა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობას, ეთნოგრაფიული მუზეუმის მსგავსად, მათაც ხომ არ ჰყავდათ ისეთი თანამშრომლები, რომლებიც სისტემატურად არ დადიოდნენ სამსახურში.

ნ. ჭიპაშვილმა ასევე აღნიშნა, ეროვნულ მუზეუმში თითქოს ერთგვარ პრაქტიკად იყო დამკვიდრებული, სანათესაო წრის დასაქმება. მან განმარტა, რომ გულწრფელად აინტერესებდა აღნიშნულზე პასუხი, თუ რა იყო ამის მიზეზი - მათი მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია თუ სხვა რაიმე ნიშანი.

დ. ლორთქიფანიძემ გაიხსენა მუზეუმში დასაქმებული ერთი ოჯახის ისტორია, სადაც ბაბუა, შვილი და შვილიშვილი ერთად მუშაობდნენ. მისი აზრით, ეს იყო შემთხვევა, როდესაც ოჯახის ყველა წევრმა აირჩია მეცნიერების გზა და სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ასევე, აღნიშნა, რომ ყველა შეკითხვაზე საჭირო იყო პასუხის გაცემა.

დ. ლორთქიფანიძემ ხაზი გაუსვა მის მოსაზრებას, რომლის მიხედვით რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც ამისთვის არის მზაობა. ასევე, მან დასძინა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შეფასების კრიტერიუმი ვერ იქნება 50 ჰა, რომელიც უკავია ეთნოგრაფიულ მუზეუმს, რადგან, მეორე მხრივ, არის მთელ საქართველოში გაბნეული მუზეუმები, რომლის შეფასებაც ხდება მეცნიერული მიღწევების საფუძველზე. ასევე, მან განმარტა, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ადგილი არ ჰქონია ნეპოტიზმს, ხოლო სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწე მეცნიერები ამუშავებენ მნიშვნელოვან თემებს, მ. შ. უძველესი ღვინის დაყენების, უძველესი მეტალურგიის განვითარების და სხვა საკითხებს. მისი აზრით, აღნიშნული თემების მნიშვნელოვნება არ განისაზღვრება 9:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე სამსახურში სიარულით და ის სხვანაირად ფასდება.

ამასთან, დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქმნის ღირებულ ლიტერატურას, სამეცნიერო პროდუქტს, დროის მოკლე მონაკვეთში მან გახსნა 2 ევროპული დონის მუზეუმი - ბოლნისი და ვანი, რომლებიც წარდგენილნი არიან, ევროპის საუკეთესო მუზეუმების ჯილდოზე. მისი აზრით, ეროვნული მუზეუმის ამოცანა იყო მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ის მეცნიერები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო კვლევებში, ხოლო რაც შეეხება მოადგილეებს, ისინი არიან ძალიან კომპეტენტური პირები თავისი მიმართულებით. ასევე, მან აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმისთვისაც ბევრი რამ გაკეთდა და გამოთქვა მზაობა, დაინტერესების შემთხვევაში, უპასუხოს დირექტორატის წევრების შეკითხვებს. აგრეთვე, დ. ლორთქიფანიძემ დასძინა, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ქალბატონ თეა წულუკიანთან შეხვედრაზე ჰქონდა

საუბარი მეცნიერების გაძლიერებაზე, რაც არის მისი ფუნქცია. ასევე, მან მზადყოფნა აღუთქვა დირექტორატის წევრებს მეცნიერების გაძლიერების მიმართულებით დახმარებაში.

აგრეთვე, დ. ლორთქიფანიძემ განმარტა, რომ რასაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი ასრულებდა, ყოველთვის იყო სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. მისი შეხედულებით, ეროვნულ მუზეუმში ვინ რას აკეთებდა, ყველაფერი იყო ცხადი. მან აუცილებლობად დასახა ატესტაციის კრიტერიუმების შემუშავება, თუ როგორ უნდა მოხდეს ადმინისტრაციის შეფასება, მეცნიერების შეფასება და ა.შ. აგრეთვე, ხაზი გაუსვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყველაზე მაღალ იმპაქტ-ფაქტორს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მისი აზრით, ბევრ რამეზე მეტყველებდა.

დ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, რეორგანიზაციის განხორციელება უნდა ემსახურებოდეს მომავალ განვითარებას და ამისთვის მზადყოფნაა საჭირო, ხოლო საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი აზრით, ამ ეტაპზე არ იყო მზად აღნიშნული პროცესების განსახორციელებლად და რეორგანიზაციის ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავდა. თუმცა, იქვე გამოხატა ნდობა მუზეუმთა ჯგუფისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით აღნიშნულ მუზუმებში იგეგმებოდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. მან ასევე სთხოვა დირექტორატის წევრებს, თუკი არ ჰქონდათ ნდობა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის საშტატო ნუსხის მიმართ, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

III საკითხი - ქართული სპორტის მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხის განხილვა

ნ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ქართული სპორტის მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტი წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ჭერით განსაზღვრულ თანხას და ხელფასების მატება გამოიწვევდა თანამშრომელთა რიცხოვნობის შემცირებას.

ს. მიქაძემ დაადასტურა, რომ ქართული სპორტის მუზეუმის 2022 წლის შრომის ანაზღაურება არსებული ჭერის ფარგლებში განისაზღვრა და მისი ზრდა ამ ეტაპისთვის არ იყო დაგეგმილი.

ნ. სალუქვაძე დაინტერესდა ცალკე ციფრი იქნებოდა თუ არა შტატგარეშედ დასაქმებულ პირებზე.

ნ. ახალბედაშვილმა არსებული სიტუაციიდან გამოსავალი დასახა, თუკი იქნებოდა შესაძლებლობა, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 446 საშტატო ერთეულიდან 3-4 ერთეული გადასცემოდა ქართული სპორტის მუზეუმს.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ როდესაც განსაზღვრული იქნებოდა ქართული სპორტის მუზეუმის ამოცანები, ეროვნული მუზეუმი იმუშავებდა, რათა ქალბატონ ნინო სალუქვაძისთვის აღმოეჩინათ დახმარება.

ნ. ახალბედაშვილმა გაიხსენა წინა დირექტორატის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა შეთანხმება ქართული სპორტის მუზეუმისთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე, ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში თანადგომა.

დ. ლორთქიფანიძემ მიმართა ნ. სალუქვაძეს, თუ რა იყო ამ ეტაპზე ქართული სპორტის მუზეუმის ამოცანა. ასევე, მან აღნიშნა, რომ საშტატო ნუსხა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მუზეუმის ამოცანებთან. მაგალითისთვის მოიყვანა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ახალი საშტატო ნუსხა მისი აზრით, მორგებული იყო მუზეუმის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ნ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ქართულის სპორტის მუზეუმის შენობის საკითხის გადაწყვეტამდე, მას სჭირდებოდა სპეციალისტი, რომელიც ჩაატარებდა კვლევას და მოიძიებდა სათანადო ინფორმაციას.

დ. ლორთქიფანიძის აზრით, აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იყო მეცნიერ თანამშრომელი, რომლის მიმაგრებაც სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან ქართული სპორტის მუზეუმზე იყო შესაძლებელი. ასევე, მან აღუთქვა დახმარება ტექნიკური პერსონალის გამოყოფაში.

ნ. ახალბედაშვილმა დააყენა საკითხი ქართული სპორტის მუზეუმისთვის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საშტატო ერთეულებიდან რამდენიმეს გადაცემის თაობაზე.

ნ. სალუქვაძემ დირექტორატის წევრებს დაწვრილებით მოახსენა იმ პრობლემების შესახებ, რომლის წინაშეც იდგა მუზეუმი. მან აღნიშნა, რომ 5 საშტატო ერთეულიდან 2 იყო უფუნქციო, რომელთაგან ერთ-ერთი ეკავა მუზეუმის ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ადამიანს.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ბევრი ასაკოვანი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა სათანადო ცოდნა და დამსახურება, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში იკავებდა კონსულტანტის პოზიციას. ამიტომ, მან შესთავაზა ქალბატონ ნინო სალუქვაძეს მსგავსი პრაქტიკის გამოყენება, რომლის მიხედვით მოხდებოდა ქართული სპორტის მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკის აყვანა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამჟამად გამოთავისუფლებულ კონსულტანტის პოზიციაზე, რის შემდეგაც ქართული სპორტის მუზეუმს გაუჩნდებოდა 1 ვაკანტური საშტატო ერთეული.

ნ. სალუქვაძე დაინტერესდა, საჭიროების შემთხვევაში თუ როგორ ხდებოდა თანამშრომლების გათავისუფლება.

დირექტორატის წევრებისგან მას განემარტა, რომ ერთი თვით ადრე შესაძლო გათავისუფლების შეტყობინებიდან თანამშრომელს ეძლეოდა 1 თვის თანამდებობრივი სარგო, ხოლო 3 დღით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში - 2 თვის სახელფასო კომპენსაცია, ხოლო თუკი თანამშრომელი არღვევდა მუზეუმის შინაგანაწესს და სისტემატურად არ ცხადდებოდა სამსახურში, მაშინ მისი სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელი იყო ზედიზედ რამდენიმე გაფრთხილების გამოცხადების შემთხვევაში.

დ. ლორთქიფანიძემ განაზოგადა არსებული პრაქტიკა მუზეუმებს შორის ურთიერთდახმარების თაობაზე და ნ. სალუქვაძეს მიმართა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული მუზეუმი საკუთარი შემოსავლებიდან უზრუნველყოფდა სპორტის მუზეუმისთვის, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი შემოსავლები, ხელშეკრულების

საფუძველზე დამატებითი თანამშრომლის აყვანას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **დ. ლორთქიფანიძემ** განმარტა, რომ ეროვნული მუზეუმი თავისი საშტატო 446 ერთეულიდან 1 ერთეულს გადასცემდა ქართული სპორტის მუზეუმს და შესაბამისად, დააკორექტირებდა დირექტორატის სხდომაზე შესათანხმებლად წარმოდგენილ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხას.

დ. ლორთქიფანიძემ დირექტორატის წევრებს გააცნო მისი პოზიცია, ქართული სპორტის მუზეუმის მომავალთან დაკავშირებით. მისი წარმოდგენით, უნდა არსებობდეს ქართული სპორტის მუზეუმის განვითარების პროექტი და შემდეგ ყველა ერთად მიიღებს მის განხორციელებაში მონაწილეობას. მან აღნიშნა, რომ ეროვნულ მუზეუმს ჰქონდა საშუალება სამეცნიერო პროექტიდან მოზიდული თანხებით დახმარებოდა სპორტის მუზეუმს და მოეხდინა ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლის ხელფასის ანაზღაურება.

ნ. ახალბედაშვილმა მიმართა ნ. სალუქვაძეს, თუკი ქართული სპორტის მუზეუმი ითხოვდა შტატების დამატებას, მაშინ აღნიშნული შტატების გადმოტანა მომხდარიყო ეროვნული მუზეუმიდან და დააყენა საკითხი, დირექტორატის მიერ ამ საკითხზე მსჯელობის თაობაზე. მისი აზრით, უნდა მომხდარიყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის საშტატო ნუსხის კორექტირება, შტატები დამატებოდა ქართული სპორტის მუზეუმს და შემდეგ მომხდარიყო შეთანხმება.

ს. მიქაძემ აღნიშნა, რომ მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე საქართველოს ეროვნულ მუზეუმს არ ჰქონდა ვაკანსია.

ი. ღვალაძემ საბოლოოდ განმარტა, რომ ქართული სპორტის მუზეუმს დღეისათვის ჰქონდა 5 საშტატო ერთეული, 1 ერთეული გამოუთავისუფლდებოდათ დამსახურებული ადამიანის ეროვნულ მუზეუმში კონსულტანტად გადაყვანის ხარჯზე და კიდევ დაემატებოდათ 1 შტატი და 1 შტატგარეშე თანამშრომლის - თანაშემწის ფინანსური რესურსი.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი წლების მანძილზე საუკეთესოდ იყენებდა კონსულტანტების ცოდნასა და შესაძლებლობებს, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროგრამებში. მან ასევე, ყველა მიმართულებით აღუთქვა დახმარება ქართული სპორტის მუზეუმს.

ნ. სალუქვაძემ დაადასტურა, რომ მისთვის მისაღები იყო ზემოაღნიშნული ცვლილებები და საქართველოს ეროვნული მუზეუმისგან ფინანსური რესურსის მიღება და არ საჭიროებდა დამატებით დროს სამინისტროში წარდგენამდე.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი მყისიერად მოახდენდა დირექტორატის წევრებთან შეთანხმებული 2022 წლის საშტატო ნუსხის კორექტირებას 1 ერთეულით და გახდებოდა 445.

ნ. ჭიპაშვილმა მიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობას, რითი შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ ქართული სპორტის მუზეუმისთვის ინფრასტრუქტურის მიმართულებით და იყო თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ახლა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნ. ჭიპაშვილი

ი. ღვალაძემ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სხვა სივრცის მოძიება და ორი სამუშაო ოთახი გამოიყო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში ქართული სპორტის მუზეუმის თანამშრომლებისთვის და შესაბამისად, კომუნალურ და საკანცელარიო ხარჯებს გაიღებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ნ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურიც ჩართული იყო შენობის მოძიების საქმეში, მაგრამ ამ ეტაპისთვის არცერთი შენობა, რომელიც ინახა, არ გამოდგა მუზეუმისთვის სათანადო. მისი აზრით, განიხილებოდა ორი საკითხი: ახალი შენობის აშენების ან სპორტულ კომპლექსში მუზეუმისთვის ფართის გამოყოფის.

დ. ლორთქიფანიძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, ქართული სპორტის მუზეუმის შენობის საკითხი არის ძალზედ მნიშვნელოვანი და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შეუძლია დახმარების აღმოჩენა მხოლოდ საპროექტო დავალების მომზადებაში. აგრეთვე, მან დააფიქსირა თავისი მოსაზრება, რომლის თანახმად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შიგნით არ არის სრულყოფილი ადგილი ქართული სპორტის მუზეუმის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის. ასევე, დასძინა, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს არც ახალი შენობის აშენების თანხები გააჩნდა.

დირექტორატის წევრები დაეთანხმნენ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ქართული სპორტის მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელებას, რომლის მიხედვით სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხა შემცირდა 1 ერთეულით და განისაზღვრა 445 ერთეულით, ხოლო ქართული სპორტის მუზეუმის საშტატო ნუსხას დაემატა 1 და გახდა - 6 ერთეული.

IV საკითხი - მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

ნ. ახალბედაშვილმა დაასახელა კონკრეტული საბიუჯეტო მუხლები (მ. შ. ,,საკუთარი შემოსავლების მუხლი", სადაც 2022 წლისთვის 280 000 ლარი იყო განსაზღვრული), რომლებიც მისი აზრით, კოვიდ სიტუაციისა და 2021 წლის მონაცემებიდან გამომდინარე (რომელიც შეადგენდა 70 000 ლარს), მოითხოვდა დაკორექტირება/შემცირებას. აგრეთვე, მან მოითხოვა ,,საქონელსა და მომსახურების მუხლში" 20 000 ლარის დამატება, რადგან ,,სოციალური დახმარების მუხლში" არ ჰქონდა თანხა რეორგანიზაციის შემდეგ სახელფასო კომპენსაციების გასაცემად, ასევე, სამივლინებო თანხები - 5000 ლარი და ფიჭური კავშირგაბმულობის თანხა - ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით. აგრეთვე, მან დასძინა, რომ მუზეუმთა ჯგუფისთვის არ იყო საჭირო 24 საქალაქო ტელეფონი და საჭირო იყო აღნიშნული რაოდენობის შემცირება.

აგრეთვე, დირექტორატის წევრებმა მოითხოვეს ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახურიდან საკანონმდებლო მაცნესთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში 4 მომხმარებლის დამატება (აქედან, 3 - მუზეუმთა ჯგუფისთვის, 1 - ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის).

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის წევრებს გააცნო თავის მოსაზრება მინისტრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მიმდინარე წლის 15

დეკემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე გაჟღერებული საკითხების თაობაზე. მისი აზრით, ერთ-ერთი ნაწილი, რომელშიც საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სათანადოდ ვერ წარმოაჩინა თავი, ეხებოდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. მისი აზრით, დირექტორატს უნდა ჰქონოდა გარკვეული ხედვა, ასევე, კარგი ნაბიჯი და პოზიცია იქნებოდა, რათა გარკვეული თანხა, რომელსაც დაერქმეოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანების წილობრივი მონაწილეობა, მიმართულიყო ხელოვნების მუზეუმის აღდგენის საქმეში.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ იგი მომხრეა, დირექტორატის სხდომაზე მოხდეს განხილვა, თუ რა იყო აქამდე და ეხლა რა კეთდება განსხვავებული. მისი აზრით, ბევრი რამ გაკეთებულია და მისი დუბლირება არ არის საჭირო. ასევე, მან აღნიშნა, რომ ყველას სურვილია, ხელოვნების მუზეუმი იყოს უმაღლესი დონის და ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. **დ.ლორთქიფანიძემ** ხაზი გაუსვა ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიის შენარჩუნების მნიშვნელობას, ასევე, აღნიშნა, რომ ის ნაწილი, სადაც ამჟამად რესტორანია განთავსებული, გაიცა 20 წლის წინ.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ის პროექტი, რომელიც თავის დროზე მომზადდა ევროკავშირის დახმარებით, არ არის გვერდზე გასაწევი. ამასთან, მისი აზრით, თუკი რაიმე ინფორმაცია არის გამოსადეგი, უნდა მოხდეს მისი გამოყენება. **დ. ლორთქიფანიძემ**, თავის მხრივ, გამოთქვა ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად სრული მზადყოფნა.

ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ უარს არ ამბობდა და ასევე, შეგნებულად არ პასუხობდა იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერზე აცხადებდნენ - ,,ეს ხომ უკვე გაკეთებულია".

ნ. ჭიპაშვილმა დაამატა, რომ გარკვეული თანხები უნდა გამოძებნილიყო როგორც ხელოვნების მუზეუმის, ასევე ეთნოგრაფიული მუზეუმისთვისაც. მან მიმართა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობას, აღნიშნული მიზნით ამ ორი მუზეუმისთვის გამოეყოთ თანხები მუზეუმების ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

ი. ღვალაძემ აღნიშნა, რომ სამინისტროს ჰქონდა ინფრასტრუქტურის პროგრამა, სადაც შესაძლებელი იყო პროექტების გაგზავნა და თანხის მოთხოვნა.

ნ. ახალბედაშვილმა დასძინა, რომ ხელოვნების მუზეუმის აღდგენისთვის გარკვეული თანხა მაინც ყოფილიყო ჩადებული და დააფიქსირა მისი პოზიცია, რომლის თანახმად, სსიპ-ს ინფრასტრუქტურის მიმართულებით უნდა გაეწია გარკვეული ხარჯი.

დ. ლორთქიფანიძემ მოუწოდა დირექტორატის წევრებს მომხდარიყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტის თითოეული კაპიკის დათვლა და თანხის გამოყოფა.

ნ. ახალბედაშვილი დაინტერესდა, რატომ იყო სამივლინებო თანხა 55 000 ლარი, რაზედაც **ს. მიქაძემ** უპასუხა, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა ჯამურად 9 მოქმედი გრანტის სამივლინებო თანხას. ასევე, დაამატა, რომ კომუნალურ ხარჯებზე მთლიანად სამინისტროზე იყვნენ დამოკიდებულნი, ხოლო ,,ოფისის ხარჯების" 1 300 000 ლარში შედიოდა 450 000 ,,თბილი სახლის" მომსახურება.

დ. ლორთქიფანიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი პრიორიტეტი არის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - იგი არის N1. მისი აზრით, პრიორიტეტულია ეთნოგრაფიული მუზეუმიც, მაგრამ ხელოვნების მუზეუმი არის პირველი. მისი აზრით, იმ შემთხვევაში, როგორც კი იქნება შესაძლებლობა, სსიპ მოახდენს ხელოვნების მუზეუმისთვის თანხების მიცემას.

ი. ღვალაძემ დასძინა, რომ თუკი ქვეყანაში შეიცვლება კოვიდ სიტუაცია, მაშინ მუზეუმს გაუჩნდება საკუთარი შემოსავლები და შესაძლებელი იქნება, თანხის გამოყოფა ხელოვნების მუზეუმისთვის.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ თუკი ხელოვნების მუზეუმი არის N1 პრიორიტეტი საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის, მაშინ ეხლავე ჩაიწეროს, რა თანხა გამოეყოფა აღნიშნულ მუზეუმს, რაზედაც **ი. ღვალაძემ** უპასუხა, რომ შესაძლებელია ჩაიწეროს, რომ საკუთარი შემოსავლებიდან შემოსული თანხა მიემართება ხელოვნების მუზეუმისკენ.

ნ. ახალბედაშვილმა მოითხოვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის დეტალურად ჩაშლილი მსხვილი მუხლების გაცნობა, ხოლო მომავალში, მსგავსი ტიპის დოკუმენტების წინასწარ გასაცნობად და მისაწოდებლად 3 დღის ვადა განსაზღვრა.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რათა დაფიქსირებულიყო ეროვნული მუზეუმის მზაობა ბიუჯეტის დეტალურად გაცნობის შემდეგ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თანხების გარდა, მიმართულიყო თანხები ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმისკენ, ხოლო ასეთის არ აღმოჩენის შემთხვევაში, მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან მომხდარიყო აღნიშნული მუზეუმების დაფინანსება.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ ი. ღვალაძესა და ს. მიქაძესთან ერთად იმუშავებდა აღნიშნული მიმართულებით და მოიძიებდნენ თანხას.

აგრეთვე, **ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ მუზეუმთა ჯგუფს თითქმის ყოველდღიურად მიმართავდნენ ექსპონატების ფოტოების გამოყენების თხოვნით. მან იკითხა იყო თუ არა შესაძლებელი ეროვნულ მუზეუმს აღნიშნული მიზნით გადაეცა მუზეუმთა ჯგუფისთვის თავისი ექსპონატების მაღალი რეზოლუციის ფოტოები, რაზედაც ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობისგან მიიღო თანხმობა.

ი. ღვალაძემ დირექტორატის წევრების წინაშე დააყენა საკითხი იმ იჯარების გაუქმების თაობაზე, რომლებსაც ვადა გაუვიდათ.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა იმ მოიჯარეების ხელშეკრულებების გაუქმება, რომლებიც არ ასრულებენ იჯარით დაკისრებულ ვალდებულებებს, როგორიც არის, მაგალითად, შპს „პასტიჩერია“.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტიც დასაკორექტირებელია, რადგან 260 000 ლარი, რომელიც ჩადებულია საკუთარი შემოსავლებიდან, ძალიან დიდი თანხაა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს, შესაძლოა, კვლავ გამოცხადდეს შეზღუდვები, რაც პირდაპირ აისახება

მუზეუმის საკუთარ შემოსავლებზე. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ 2021 წელს მუზეუმის ბილეთების რეალიზაციით შემოსულია დაახლოებით 70 000 ლარი და ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახურისგან მოითხოვა დეტალური ინფორმაცია, თუ კონკრეტულად ეთნოგრაფიულ მუზეუმს საკუთარი შემოსავლებიდან რამდენი მოხმარდა და რა რაში.

ნ. ჭიპაშვილმა შეახსენა ი. ღვალაძეს, ხომ არ ჰქონდათ შპს ,,მეიდან ჯგუფის" იჯარის თანხა აგვისტოდან-დეკემბრის ჩათვლით გახარჯული. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა, რათა გაყინულიყო აღნიშნული თანხა და არ მომხდარიყო მისი დახარჯვა. ასევე, **ნ. ჭიპაშვილმა** მიმართა ი. ღვალაძეს, რათა მიეწოდებინათ ყველა სახის დოკუმენტაცია შპს ,,მეიდან ჯგუფთან" დაკავშირებით, რომელიც არსებობდა როგორც ეთნოგრაფიული მუზეუმის, ასევე ქარვასლის საიჯარო ხელშკრულებებთან მიმართებით. ვინაიდან, აღნიშნული შპს უკვე იმყოფებოდა ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორაზე მოიჯარის სახით, მას ჰქონდა აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნის ლეგიტიმური უფლება.

ნ. ჭიპაშვილმა დასძინა, რომ სანამ თავად არ მოითხოვა, მანამდე არ ჩაერთო სატელეფონო ლიმიტი. მისი აზრით, ფიჭური კავშირგაბმულობის 2022 წლის ლიმიტი საჭიროებდა დაკორექტირებას და სამივლინებო თანხა - გაზრდას.

დირექტორატის წევრები შეთანხმდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გარდა 2022 წლის მუზეუმების ბიუჯეტებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მუზეუმების მიერ ბიუჯეტების წარდგენამდე, ჩაინიშნება დირექტორატის რიგგარეშე სხდომა.

დირექტორატის წევრები შეთანხმდნენ:

- დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ოდენობა - 18 ერთეული და ძალაში შევიდეს 2022 წლის 22 იანვრიდან.
- დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ოდენობა - 445 ერთეული.
- დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული სპორტის მუზეუმის 2022 წლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ოდენობა - 6 ერთეული.
- დამატებით გაიმართოს დირექტორატის შემდგომი რიგგარეშე სხდომა მუზეუმების ბიუჯეტის პროექტების შეთანხმების თაობაზე.

დირექტორატის წევრები:

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი — დავით ლორთქიფანიძე

მუზეუმთა ჯგუფის
დირექტორი — ნიკა ახალბედაშვილი

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს
ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის
მუზეუმის დირექტორი — ნინო ჭიპაშვილი

ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი — ნინო სალუქვაძე

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის 2022 წლის საშტატო განრიგი

	თანამდებობა	რაოდენობა	ახალი სარგო	სულ თვის სარგო
	შტატები			
	ხელმძღვანელობა			
1	დირექტორი	1	1,900.00	1,900.00
	კოლექციებისა და ფონდების მართვის სამსახური			
2	სამსახურის უფროსი	1	1,700.00	1,700.00
3	ხის რესტავრატორ-კონსერვატორი	1	950.00	950.00
4	ქსოვილის რესტავრატორ-კონსერვატორი	1	950.00	950.00
5	ლითონის რესტავრატორ-კონსერვატორი	1	950.00	950.00
6	ქვის რესტავრატორ - კონსერვატორი	1	950.00	950.00
7	ფონდის მთავარი მცველი	1	950.00	950.00
8	ფონდის მცველი (ომალო)	1	650.00	650.00
9	ფონდის მცველი (შატილი)	1	650.00	650.00
10	ფონდის მცველი	2	850.00	1,700.00
11	ფონდების დაცვა-აღრიცხვის სპეციალისტი	1	850.00	850.00
	ადმინისტრაციული სამსახური			
12	სამსახურის უფროსი	1	1,700.00	1,700.00
13	საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი	1	1,500.00	1,500.00
14	სამუზეუმო სერვისების კოორდინატორი	1	1,500.00	1,500.00
15	ფინანსური მენეჯერი	1	1,500.00	1,500.00
16	იურისტი	1	1,500.00	1,500.00
17	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	1,500.00	1,500.00
	ჯამი	18		21,400.00

„ვამტკიცებ“

სსიპ საქართველოს ეროვნული
მუზეუმის გენერალური დირექტორი

დავით ლორთქიფანიძე
/ /

„---------“ „----------“ 2022 წელი

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	თანამდებობრივი სარგო თვეში			სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
				სულ	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ საკუთარი სახსრები		
	სულ	445		321,786.0	321,786.0	0.0	3,861,432.0	3,861,432.0
1	დირექტორი/გენერალური დირექტორი	1	1900	1,900.0	1,900.0		22,800.0	
2	ადმინისტრაციული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი	1	1600	1,600.0	1,600.0		19,200.0	
3	გენერალური დირექტორის მოადგილე	2	1700	3,400.0	3,400.0		40,800.0	
4	გენერალური დირექტორის მოადგილე მთავარი მცველი	1	1700	1,700.0	1,700.0		20,400.0	
5	აპარატის უფროსი	1	1000	1,000.0	1,000.0		12,000.0	
6	რეფერენტი	2	828	1,656.0	1,656.0		19,872.0	
7	ინსტიტუტის ხელმძღვანელი	4	1700	6,800.0	6,800.0		81,600.0	
8	დეპარტამენტის უფროსი	4	1600	6,400.0	6,400.0		76,800.0	
9	სამსახურის უფროსი	6	1500	9,000.0	9,000.0		108,000.0	
10	სექტორის ხელმძღვანელი	4	1300	5,200.0	5,200.0		62,400.0	
11	ჯგუფის უფროსი	6	900	5,400.0	5,400.0		64,800.0	
12	მუზეუმის მმართველი	6	1300	7,800.0	7,800.0		93,600.0	
13	მოლარე	8	550	4,400.0	4,400.0		52,800.0	
14	განყოფილების უფროსი	4	1100	4,400.0	4,400.0		52,800.0	
15	მთავარი მენეჯერი	2	900	1,800.0	1,800.0		21,600.0	
16	მენეჯერი	2	700	1,400.0	1,400.0		16,800.0	
17	წამყვანი სპეციალისტი	10	950	9,500.0	9,500.0		114,000.0	
18	მთავარი სპეციალისტი	19	900	17,100.0	17,100.0		205,200.0	
19	უფროსი სპეციალისტი	17	820	13,940.0	13,940.0		167,280.0	3,861,432.0
20	სპეციალისტი	17	700	11,900.0	11,900.0		142,800.0	
21	მთავარი კურატორი	5	950	4,750.0	4,750.0		57,000.0	
22	უფროსი კურატორი	3	820	2,460.0	2,460.0		29,520.0	
23	კურატორი	10	700	7,000.0	7,000.0		84,000.0	
24	ასისტენტ კურატორი	21	620	13,020.0	13,020.0		156,240.0	
25	წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი	7	950	6,650.0	6,650.0		79,800.0	
26	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	2	900	1,800.0	1,800.0		21,600.0	
27	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	12	820	9,840.0	9,840.0		118,080.0	
28	მეცნიერი თანამშრომელი	52	700	36,400.0	36,400.0		436,800.0	
29	უსაფრთხოების ოფიცერი	4	850	3,400.0	3,400.0		40,800.0	
30	ზედამხედველი	32	500	16,000.0	16,000.0		192,000.0	
31	ლაბორატორიის გამგე/ხელმძღვანელი	3	1100	3,300.0	3,300.0		39,600.0	

32	მიმართულების ხელმძღვანელი	9	1100	9,900.0	9,900.0		118,800.0
33	უფროსი ასისტენტი	19	580	11,020.0	11,020.0		132,240.0
34	ასისტენტი	29	460	13,340.0	13,340.0		160,080.0
35	უფროსი ლაბორანტი	15	520	7,800.0	7,800.0		93,600.0
36	ლაბორანტი	40	500	20,000.0	20,000.0		240,000.0
37	კონსერვატორი	20	700	14,000.0	14,000.0		168,000.0
38	ასისტენტ კონსერვატორი	2	580	1,160.0	1,160.0		13,920.0
39	გიდი პედაგოგი	43	550	23,650.0	23,650.0		283,800.0

„ვამტკიცებ“

სსიპ საქართველოს ეროვნული
მუზეუმი - ქართული სპორტის
მუზეუმის დირექტორი
ნინო სალუქვაძე
/ /

„---------“ „----------“ 2022 წელი

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპორტის მუზეუმის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	თანამდებობრივი სარგო თვეში			სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
				სულ	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ საკუთარი სახსრები		
	სულ	6		6500	6500	0	78000	78000
1	დირექტორი	1	1700	1700	1700		20400	78000
2	მმართველი	1	1300	1300	1300		15600	
3	წამყვანი სპეციალისტი	2	950	1900	1900		22800	
4	მთავარი სპეციალისტი	1	900	900	900		10800	
6	მეცნიერი თანამშრომელი	1	700	700	700		8400	